№ 113 ოთხშაბათი, 12 თებერვალი. 1896—1897 ოთხშაბათი, 12 თებერვალი, № 113

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.
თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13.**
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

ქართული თეატრი
ბენეფისი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.
ოთხშაბათს, 12 თებერვალს 1897 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ: ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

I
პირველად ახალი პიესა
სუსტიოსნონი არ იბადებიან
დრ. 3 მოქ. როვეტტისა, თარგ. გალუსტოვისა (ეს პიესა დაჯილდოვებულია).

II
პირველად ახალი ვოდევილი
შეცდომა
ვოდ. 2 მოქ. თ. ი. ბარათაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძისა, კუნდელი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, სვიმონიძე, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ბილეთები არავის გაეგზავნება.
დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
ივანე როსტომაშვილის
ალბომი
„ქართველთა ცრომი“
მრავალის სურათებით
ფასი გაგზავნით და მშვენიერის ყდით 5 მან.
ვინც ნაღდად ათს ცალს იყიდის, ალბომი 4 მან. დაეთმობა.
ადრესი: ტფილისი, ივანე როსტომაშვილს. *Тифлисъ, И. Ростомашвили.*

„წინანდალი“
საკუთარის ვენახებიდამ
კახური (მველის მველი) **ღვინოები**
თავ. დ. ჭავჭავაძისა.
უმთავრესი საწყობი: თბილისი, მიხეილის ქუჩა, № 71, სახლი ულანცევისა.
„ЦИНАНДАЛЫ“
Извѣстная фирма Кахетинскихъ винъ. Мих. у. д. Уланцева, 71.
(10—3)
„წინანდალი“

ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის უფროსი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც
პირველი ხარისხის ბანქო
სჭირია, იყიდონ ამ სკოლაში იმავე ფასად, როგორც ქუთაისის ვაჭრები ჰყიდიან, რითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენენ სკოლას.
(10—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

მძ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ზრობასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრობასკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .გ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი **ს.გ. თოფურია.**
(წ.)

გუშინდელი დეპეშა

10 თებერვალი

პეტერბურგი. 9 თებერვალს დილის დღესასწაულით აკურთხეს შრომის მოყვარეობის სახლი, რომლის აშენებაც 40 ათასი მანეთი დაჯდა. ეს ფული გამოიღო შრომის მოყვარეობის სახლებისა და მუშათა სახლების კომიტეტმა.

კონსტანტინეპოლი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ფოტი დესფაშა კრიტის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნაო.

კონსტანტინეპოლი. პორტამ გაუგზავნა საყოველთაო ბრძანება თავისს წარმომადგენლებს საზღვარგარედ; ამ საყოველთაო ბრძანებაში მოყვანილია სხვა-და-სხვა უსიამოვნო მოქმედება საბერძნეთისა და სხვათაშორის შეიარაღებულ ხალხისა ხიოსის კუნძულზედ მისვლა, კუნძულის მკვიდრთათვის თოფ-იარაღის დასარიგებლად.

დეპეშა იანინიდგან: „სამხრეთ ალბანია“ იუწყება: მთავრობამ მაჰმადიანებს იარაღი დაურიგა იმ აზრით, რომ საბერძნეთს არტასთან შესვოდნენ იმ შემთხვევაში, თუ საბარძნეთი მტრულს მოქმედებას არ დაიშლისო, სამხრეთ ალბომნის მკვიდრნი, სადაც ბერძნები ბლომად არის, ხალხი დიდად აღელვებულია.

კანეია. ინგლისის ნალმიანმა გემებმა დააპატიმრეს და აქაურ ნავთსაყუდელში მოიყვანეს საბერძნეთის ამხანაგობის პატარა სავაჭრო ხომალდი, რომელსაც აჯანყებულთათვის საჭირო სურსათი და კარვები მიჰქონდა თურმე.

ბომბეი. იუწყებიან, რომ ეხლა შეიძლება სარგებლობა ხავკინის ანტიტოკსინითა შავი ჭირის წინააღმდეგ, ვიდრე ავად-მყოფი სიკვდილის პირად არ არისო. ამ საშუალებას ისე ჩინებული შედეგი მოჰყვა, რომ ქალაქის მმართველობა მალე შეუდგება უსასყიდლო აცრის საქმეს. უკვე ათასამდე გავლენანი ევროპიელსა და ადგილობრივ მკვიდრს აუცრეს ამ წამლით.

ახალი ამბავი

⁂ **„მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია:** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება, რომ ამიერიდგან უფროსნი მოხელენი და სხვა და სხვა წოდებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი ნუ გამოგზავნიან მოსალოც დეპეშებსა უქმე და სადღესასწაულო დღეებში, იმ დღეებს გარდა, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნებათ.

⁂ **სასულიერო პირთა საყურადღებოდ.** როგორც შევიტყეთ, ქართლ-კახეთის სინოდალურის კანტორის რამდენსამე წევრთ ყოვლად უსამღვდელოესის არქიელის ვლადიმერის განკარგულებით შეუდგენიათ პროგრამა იმ პირთათვის, რომელთაც არ დაუსრულებიათ სწავლა სასულიერო სასწავლებელში ანუ სემინარიაში და სურთ კი მიიღონ ადგილი ან მღვდლის და ან მთავარდიაკვნისა. ეს პროგრამა წარედგინება ამ მოკლე ხანში უწმინდესს სინოდს განსახილველად იმ განზრახვით, რომ უკეთუ იგი უმაღლესის მთავრობისაგან იქმნება მოწონებულ-დამტკიცებული, გაეგზავნოთ ყველა ეპარქიის ეპისკოპოსთ სისრულეში მოსაყვანად.

⁂ **„გრაჟდანინ“-ში დაბეჭდილია,** რომ კავკასიის მთავარ-მართებლად მყოფი ს. ა. შერემეტევის მიერ სახელმწიფო საბჭოში წარდგენილი ზოგიერთი პროექტი გარდაეცა კავკასიის ეხლანდელს მთავარ მართებელს თავ. გოლიცინ განსახილველად.

⁂ **ცვლილება საბაღოსნო სკოლაში.** ბუნების მეტყველების მასწავლებელმა პარონიანცმა ამ სკოლაში მასწავლებლობას თავი დაანება და მის მაგიერად მიწვეულ იქმნა აგრონომი ავალიანი.

⁂ **საბჭოს კრება შავი ჭირის გამო.** გუშინ-წინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ კავკასიის სამხედრო შტაბის დარბაზში კრება მოხდა კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილის თავ. ი. გ. ამილახვარის თავმჯდომარეობით. აი თვით კრების გარდაწყვეტილება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უკვე გამოცხადდა განკარგულება, რომლის ძალითაც სპარსეთის საზღვრებზედ კარანტინები უნდა გაიმართოს.

კრებამ გადასწყვიტა, ასეთივე კარანტინები გაიმართოს ოსმალეთის საზღვარზედაც, რადგანაც უწინ საქართველოში შავი ჭირი ოსმალეთიდგან გადმოსულა სამჯერ, კარანტინები გაიმართება კასპიის ზღვაზედ: ლენქორანსა, ბაქოსა, დარუბანდსა და პეტროვსკში და შავს ზღვაზედ: ბათომსა, ფოთსა, სოხუმსა და ნოვოროსიისკში.

შემდეგ კრებამ დაავალა სამკურ-

ეროვნული

ნალო მმართველობის უფროსს ბ-ნს გლოვაცკის, შეატყობინოს ბ-ნ გუბერნატორებს, რა ღონისძიებანი უნდა იხმარონ შავი ჭირის წინააღმდეგ, თუ იგი გაჩნდა.

დასასრულ კრებამ გადასწყვიტა ოსმალეთისა და სპარსეთის სამზღვრებზედ კორანტინებში დააყენოს 20,000 ჯარის კაცი.

⁂ **მამასახლისების და გლეხების საყურადღებოდ.** ტფილისის გუბერნატორმა შემდეგი ბრძანება გამოსცა ყველა მაზრის უფროსებზედ, თანხმად იმ განაჩენისა, რომელიც საბეგრო ინსპექტორთა პირველმა კრებამ შეიმუშავა შარშან:

ა) როგორც საწვრილმანო, აგრეთვე გილდით ვაჭრობის დოკუმენტების გამოტანაც მხოლოდ იმ მოვაჭრეთ შეეძლოთ, რომელნიც მამასახლისის მოწმობას წარმოადგენენ, რომ ნება ეძლევა მას.

ბ.) პირველი რევიზია სოფლის დუქნებისა არ უნდა მოხდეს უგვიანეს პირველს მაისისა,

გ.) თუ ვაჭარი დადგენილს წესსა და რიგს დაარღვევს, ამის შესახებ ოქმი უნდა გაეგზავნოს საბეგრო ინსპექტორს და არა სახაზინო პალატას, როგორც წინედ იყო.

დ.) საბეგრო ინსპექტორს გაეგზავნოს სია სოფლის დუქნებისა წელიწადში ორჯელ: 1 მაისს და 1 ოქტომბერს.

ე.) სოფლის მამასახლისი მოვალეა ასწეროს სამამასახლისოში მამულების რაოდენობა, მისი შემოსავალი და წარუდგინოს ესე ცნობანი საბეგრო ინსპექტორს.

ვ.) მამასახლისი მოვალეა აღნიშნოს საბეგრო გარდასახადის ფურცელზედ დღე და რიცხვი, როცა ამ ფურცელს მიიღებს.

ზ.) სოფლის ყრილობა, გასანაწილებლად ხარჯისა, მამასახლისმა უნდა მოახდინოს არა უგვიანეს ერთის თვისა საბეგრო გარდასახადის ფურცლის მიღებისა.

⁂ **ვენახების წამლობა.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა მიჰმართა მეურნეობის სამინისტროს და სთხოვა, ხაზინამ თავის ფულით უწამლოს იმ ვენახებს, რომლებიც საუფლისწულო ვენახების მახლობლად არის გაშენებულიო.

⁂ **პენსიის დამსახურება.** ჩვენს ცნობილ მოღვაწესა და პედაგოგს ნ. ზ. ცხვედაძეს, როგორც მასწავლებელს დედათა ინსტიტუტისას, უკვე დაუმსახურებია პენსია და სახელმწიფო პალატას მოსვლია კიდეც მოწერილობა, რომ აძლიოს ყოველ წლივ 1915 მან. 20 კაპეიკი. იმედი გვაქვს, რომ პატივცემული ნიკოლოზ ზებედესძე, ჩვენ და სასიხარულოდ, ჯერ ისევ ჯანითა და სიცოცხლით სავსე, უფრო თამამად განაგრძობს საზოგადო მოღვაწეობას და თავის დაუღალავის შრომით სხვებსაც გაამხნევებს.

⁂ **სახელმწიფო პალატის შენობის** გასაფართოებლად და გადასაკეთებლად ფინანსთა მინისტრისაგან გადადებულია 23,000 მანათი. ეხლა პალატა სახლს ეძებს შუაქალაქში, სადაც შეიძლებოდეს დროებით გადავიდეს, ხოლო ამისთანა სახლი ჯერ ვერ უპოვია. ამბობენ, არშაკუნისეული სახლი უნდა დაიჭიროს, თუ უკეთესი არ აღმოჩნდაო. პალატა რომ გადავა, მუშაობის დროს, სახელმწიფო ხაზინა ისევ თავის ადგილას დარჩება ქვემო სართულში.

⁂ **საზიზღარი საქციელი.** სოფ. დიდ-ჯიხაიშში (ქუთაისის მაზრაშია) 12 წარსულ დეკემბერს დამწვარა ქვრივის ირინე ლორთქიფანიძის სახლები. ცეცხლი ღამით გაჩნდა, თურმე, და სწრაფად მოუღო ბოლო მთელს შენობას, კინაღამ ადამიანიც იმსხვერპლა: ღმერთმა უშველოთ მეზობლებს, თორემ შუაგულ ალში მოჰყვებოდნენ სახლში მძინარე ბავშვები და რამოდენიმე ქალი. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ცეცხლი განზრახვით იყო წაკიდებული, მთელი შენობა ნავთით იყო მორწყული; ასე გასინჯეთ, მოგლეჯილ კედლის ფიცრებს მაშინაც-კი ასდიოდა ალი, როცა იმათ იქვე მდინარეში ჰყრიდნენ. საცოდავს ქვრივს იმ სახლის მეტი არა ებადა-რა, (500 მან. აფასებენ); ამის ქმრის მამული ვალებში გაიყიდა და საჯარო ვაჭრობაში თითქმის მუქთად დაინარჩუნა მთელს ქუთაისის მაზრაში განთქმულმა მოვახშემ. ამ მოვახშესა და ქვრივს შორის დიდი ხანია დავა არის ატეხილი მამულის დაცლის თაობაზე და არავითარი ეჭვი არ არის, რომ ქვრივი და ღარიბი ქალის მხრივ სრულებით უმიზნო და გაუგებარი იქნებოდა ერთად-ერთ თავ-შესაფარს გამოსალმებოდა, სანამ ძალით არ გამოისტუმრებდნენ, მით უმეტეს ვერავინ იფიქრებს, რომ სახლი მისი დამწვარი იყოს. მოვახშეს-კი დიდი ხანია სურდა მოეშორებინა იმ მამულიდგან ქვრივი; ერთხელ მიჰვარდნია კიდეც საცოდავს სახლში და ხელითაც შეჰხებია: „გინდა თუ არა, მალე გამეცალე აქედამაო“. ყველა მეზობლები დარწმუნებულნი არიან, რომ ცეცხლი მევახშემ წაუკიდა და დიდად აღელვებულნი არიან ამ საზიზღარის საქციელით; ეს საქმე ადგილობრივ გამომძიებლის ხელშია და დაიმედოვნებულნი არიან, რომ მართლ-მსაჯულება ღირსეულად დასჯის დამნაშავეს. („ნოვ. ობოზ.“).

⁂ **ქურდ-ბაცაცები აარმუკაზედ.** კვირა-დღეობით სემინარიის გვერდზე გაცხარებული ვაჭრობაა ხოლმე, მრავალი სოფლელები ჩამოდიან ზოგი ინდაურებით, ზოგი ქათმებით, ზოგი კიდევ კვერცხებით და ჰყიდიან. ყოველთვის, მეტადრე შუადღემდე, დიდძალი ხალხი ირევა და ამით სარგებლობენ ქურდ-ბაცაცები და ჯიბგირები. გუშინ-წინ ერთს გლეხისაგან მზარეულს ინდოური ეყიდნა, ჯიბგირებს შეუმჩნევიათ მზარეულისათვის შვიდიოდე მანათი და მყისვე ამოუცლიათ. ცოტა ხნის შემდეგ იმავე გლეხთან მისულან ოთხიოდე ჯიბგირი, შევაჭრებიან ინდოურს, ერთს აურჩევია კარგად მსუქანი ინდოური და შეუძლევია ერთი მანათი, მეორეს მეტი შეუძლევია და ხელიდან გამოურთმევია ინდოური. ამავე დროს სხვებიც მოდენილან. ამით უსარგებლნია ჯიბგირს და ინდაური-კი წაუღია. საბრალო გლეხს ყვირილი დაუწყვია: არიქა, მიშველეთ, ინდოური მომპარა ვიღაც ულმერთომაო, მაგრამ ვინ არის პატრონი. ხალხი ბუზივით ირევა და ვინ მოსძებნის თავზე ხელ-აღებულ ქურდს. ურიგო არ იქნება ან ქალაქის გამგეობა, ან ბ-ნი პოლიცმეისტერი რამე ღონეს იღონებდნენ და წამალს დასდებდნენ რასმე ამ სენს.

⁂ **ამერიკის ვაზის გაშენება.** საქარის სამაგალითო ბაღ-ვენახის მმართველს განზრახვა აქვს მომავალ გაზაფხულს დაამზადოს ამერიკის ვაზის 100 ათასი ნერგი. რადგანაც ამ საქმისათვის საქარის ბაღ-ვენახში საკმაო ადგილი არ არის, ბაღ-ვენასის გამგე თხოულობს საჭირო შენობის გამართვის ნება-რთვას.

⁂ **რკინის გზის მმართველობის განკარგულება.** რკინის გზის დარაჯებს ხშირად მიუხტებიან ხოლმე ღამის რაინდები, სძარცვენ და კიდეც ხოცავენ. ამიტომ განჯის მაზრის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ სოფლის მამასახლისების განკარგულებით სოფლის მცხოვრებნი ღამ-ღამობით მივიდნენ ხოლმე რკინის გზის საყარაულოებში სადარაჯოდ. მაგრამ ყარაულები, თურმე, სახლში არ უშვებდნენ მათ. რკინის გზის უფროსმა განკარგულება გასცა, ყარაულებმა ეს სოფლის დარაჯები სახლში მიიღონ ხოლმე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ურჩობას გამოიჩენს, სასტიკად დაისჯებაო.

⁂ ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

ბ-ნო. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რომ არც ერთი წერილი ს. წულუკიძის ქალის მოტაცების და ქუთაისის საკვირაო სკოლის შესახებ, დაბეჭდილი „ცნ. ფურცელში“, მე არ მეკუთვნის. *) რადგან საზოგადოების ერთი ნაწილი ამ წერილებს მე მაკუთვნებს, ამისათვის იმედი მაქვს, ყოველივე ეჭვის განსაფანტავად, ეს მცირე თხოვნა თქვენ მიერ შეწყნარებულ იქნება.

ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე.

⁂ **ქ. გორი. საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** 15-ს თებერვალს გორის საკრებულო დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარენი აქაურ პროგიმნაზიის სასარგებლოდ წარმოადგენენ შემდეგ პიესებს: „დაქცეული ოჯახი“ სუნდუკიანცისა და ,,ოინბაზი'' ავ. ცაგ-რლისა. აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც მოთავე ამ წარმოდგენისა ქ-ნი ს. ა. ლომაურისა სცდილობს პროგიმნაზიისთვის მატერიალურად დახმარებაზედ, რისათვისაც დიდი მადლობელია გორის საზოგადოება და ყოველ მხრივ ხელს უწყობენ ამ კეთილ საქმეში. აგერ ეს ორი წელიწადია, რაც უფრო გაჭირებაში ჩავარდა პროგიმნაზია, რადგანაც წყალდიდობამ საკუთარი სახლი წაუხდინა; მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ადგილობრივნი სცენის მოყვარენი, რომელნიც გულმხურვალეთ ეკიდებიან თავიანთ საქმეს.

⁂ **ცეცხლი ებრაელთა უბანში.** სოფ. საჩინოში (ქუთაისის მაზრაშია) ამას წინედ თითქმის მთლად გადაიწვა უბანი „ურიები“-სა. ამ შემთხვევის შემდეგ უბანს «საბეკა»-ში მცხოვრები შეძლებულნი და გავლენიანნი პირნი ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ებრაელთა სავაჭრო დუქნები თავის უბანში გადაეტანათ. რა თქმა უნდა საბეკლები ამ მეცადინეობის დაგვირგვინებას, როგორც ციურს მანანას, ისე მოელოდნენ, რადგან ებრაელებს ძალაუნებურად ახალ ადგილს უნდა შეეძინათ მიწები, და მით ,,საბეკაელები'' ბევრს უსარგებლო მიწას გაასაღებდნენ და ფულებსაც ბლომად აიღებდნენ. მთელის ვანის საზოგადოებისთვის-კი ურიების ადგილის გამოცვლა ფრიად საზარალო და არა სანატრელი იქნებოდა. საგუბერნიო მმართველობამ ეს საქმე ებრაელების სასარგებლოთ გადასწყვიტა და მათი უბანი ისევ ძველ ალაგას დასტოვა. ამით გაჯავრებულ „საბეკაელთ» მოიწადინეს, სამაგიეროდ რამ უსიამოვნობა მიეყენებიათ ვ. მაღლაკელიძისათვის, რომელსაც ამ საქმეში მეთაურობას სწამებენ. დაიწყეს მასსედ საჩივრები, რომ ის მავნე წევრია საზოგადოებისა, რომ მას გავლენა აქვს გლეხებზე და რომ იგი ამ გავლენით ავათ-სარგებლობს. ხოლო ყველამ იცის, რომ მაღლაკელიძე ძრიელ სასარგებლო კაცია თავის სოფელში და პატიოსანი წევრიც საზოგადოებისა. გლეხებმა დააფასეს მისი კეთილი მოღვაწეობა და ყოველს საზოგადო საქმეში პირველად მას მიჰმართვენ ხოლმე, სადაც კი პატიოსანი და მხნე კაცია საჭირო. ექვს წელიწადს მამასახლისად იყო, ეხლა ბეგრის გამნაწილებელ დეპუტატთა რიცხვშია და ითვლება ვანის საზოგადო სკოლის მზრუნველად. („ნოვ. ობოზრ.“).

⁂ **დ. სამტრედია. უმართებულო ვაჭრობა.** ჩვენ, სამტრედიელნი ისეც მოკლებულნი ვიყავით ყოველ გვარ ბედნიერებას, ვაჭრობა დღითიდღე კლებულობდა და ამ უკანასკნელად სრულიად მოეღო ბოლო. მიზეზი ის არის, რომ აქ გახსნეს რკინის გზის მოსამსახურეთათვის საამხანაგო სავაჭრო მაღაზია, სადაც გამართეს ფურნეც და საყასბოც. რასაკვირველია, ვაჭრობაც კარგი აქვთ, მით უფრო, რომ არ სჯერდებიან მარტო მოსამსახურეებს და ჰყიდიან აგრეთვე კერძო პირებზედაც ნარდათ და წვრილათაც. საქონელს იმდენად ნაკლებ ფასად ჰყიდიან, რამდენსაც გადმოსატანს არ იხდიან. ნუ თუ დიდს სარგებლობას მოუტანენ რკინის გზას ისეთი ვაჭრები, რომლებსაც გროში კაპეიკი არ უჯდებათ საქონლის რკინის გზით გადატანა. რატომ ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას რკინის გზის მმართველობა. რკინის გზის მაღაზიას ნება არ უნდა ჰქონდეს კერძო ვაჭრებზედ საქონლის გაყიდვისა არც ნარდათ და არც წვრილად, გარდა რკინი გზაზე მოსამსახურეთა. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს და ასეა თუ ისე ბოლო მოუღოს ამ ყოვლად უსამართლო საქციელს რკინის გზის მაღაზიისას და საზარალოს თვით რკინის გზისათვის.

⁂ **სოფ. ავნევი. ქურდების თავხედობა.** „თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო“. ეს ერთი ბედნიერება გვაკლდა ჩვენ, ბედისგან დაჩაგრულს გლეხებს და ესეც გვეწვია:

მთელი ზამთარი, ჩვენ ადგილობრივნი გლეხნი ისეთ გაჭირვებაში ჩავცვივდით, რომ მეტი აღარ შეიძლება. მოგეხსენებათ ჩვენს ავლადიდება—საცხოვრებელს შეადგენს თითო ქოხი, ბოსელი და საბძელი, სადაც ყოველი ჩვენი საცხოვრებელი ინახება: შემოგვეჩვივნენ ღამის რაინდები და ისე დაიპრიყვეს მთელი სოფელი, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს: ყოველ ცისმარე ღამეს გვეწვევიან ეს მოუპატიჟებელნი სტუმრები, დაგვიკეტავენ სახლების კარებს, სადაც ვწევართ, შებრძანდებიან მარნებში, სადაც ინახება ყოველი ჩვენი წლიური მოსავალი და, რაც უფრო უსაჭიროესს შეადგენს სტუმრებისთვის, მიაქვსთ უპატრონოდ. ჯანი გავარდეთ, ნეტა გვაჯერებდნენ წვრილ ფეხს; მიაქვსთ ფქვილი, ხდიან ქვევრებს, დროს ატარებენ გათანებამდის და როცა ქეიფს შეასრულებენ, ამოიღებენ საშინაოდ და გასწევენ თავ-თავიანთისაკენ.

ვართ ამ უბედურებაში და ვითმენთ ესეთ გაჭირებას, ყურის მგდებელი კი არავინა გვყავს, რომ გვიპატრონოს.

⁂ **სოფ. წრომი** (გორის მაზ.). **საზიზღარი ამბავი.** ერთს გლეხს შუაღამისას, როცა მთელს სოფელს ეძინა, მიუხტა თერთმეტი შეიარაღებული ყელეთელი კაცი, შეაჩეხ-შეამტვრია კარ-ფანჯარა და ახალგაზდა გასათხოვარი ქალი მოიტაცა. შეიქმნა ყვირილ-ტირილი, მაგრამ ვიდრე მიეშველებოდა ვინმე, ქალი და მომტაცებელნი გაუჩქარდნენ. საწყალი ქალი ფეხ-შიშველი და თავ-შიშველი, პერანგის ამარა, პირ-აკრული ატარეს, თურმე, ოღრო-ჩოღროებში, კლდეებზე, თოვლზე, ბუჩქებში და სულ ტანი დააკაწრ-დაუსისხლიანეს. გათენებისას მდევარმა მიაგნო სოფ. ყელეთის ერთ მოსახლესთან—ხიზანთან, მაგრამ გვიანღა იყო: საბრალო ქალი დატანჯულ-გაუპატიურებული ნახეს. მოძალადემ ქორწინება ინდომა, მაგრამ ქალმა ზიზღით უარ-ჰყო და შინ წაყვანა ინდომა. ჩამოიყვანეს საწყალი უგრძნო-უგონო და შემდეგ სულ ლოგინად არის ჩავარდნილი.

⁂ **უპატრონო სოფელი.** იქიდანვე გვწერენ: ჩვენს მხარეს ძალიან გახშირდა ქურდობა-ტაცობა, მრავალგვარი ავაზაკობა და ავ-კაცობა. მამასახლისი უვარგისია და თავისს უმოქმედობით ხელს უმართავს ავკაცობას. ვითომ ნასწავლთაგანი და კეთილ-შობილთაგანი ავირჩიეთ, მაგრამ ეხლა კი ცხვირში ვიცემთ. მერე არც იმდენი გაგება აქვს, ხედავდეს, რომ გამოუსადეგია, დაანებოს თავი მისთვის არ შესაფერ საქმეს, საზოგადოების ცოდვაში რათა დგება, ჩვენ უთაურები ვართ და გარედგან შველას არ მოველით, რასაკვირველია, დაგვიპრიყვებენ თავზე ხელ-აღებული ოსები.

⁂ **სიღნაღი. წვრილი ამბები.** აქეთ მშვენიერი ამინდებია, ასე რომ აპრილს არ ჩამოუვარდება თებერვალი. ხალხი შიშობს ხეხილი და ვაზი არ გამოიტყუოს სითბომ და შემდეგ არ დააძროსო.

— მთელი კახეთი დიდ მზადებაშია, რომ ერთობლივ უწამლონ ვენახებს, შარშან დიდ-ძალი გოგირდი და შაბიამანი იყიდებოდა, მით ისარგებლეს ჩვენმა სიღნაღის მიდამოს გამოჩენილმა ვაჭრებმა და დიდძალი ყალბი გოგირდი და შაბიამანიც გაასაღეს, ეხლა აქ საწყობები გაიხსნა, მაგრამ ურიგო არ იქნება რომ სა-

---

*) ზემოდ აღნიშნულ წერილთა შორის არც ერთი არ ეკუთვნის ალექსანდრე გრიგოლის ძეს წულუკიძეს. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო საზოგადოება მიაქცევდეს ყურადღებას.

— სიღნაღის სამოქალაქო სასწორის საჯაროთ ვაჭრობა იყო, და იჯარით დარჩა ერთ ცნობილ 2 გილდის მოვაჭრეს ოსიფოვს 810 მან., მაგრამ შემდეგ უშარეს; არ ვიცით-კი რა მიზეზით.

— ეხლა სასწორზე ქილა ჰკიდია და წონის ფულს კაპეიკებს შიგა ჰყრიან. ვნახოთ, როდის აავსებენ ამ ქოთანს. ღვთის წინაშე ესეც კი კაი მოგონებაა. მისთვის, რომ ამწონავმა გროშები არ ასწაპნოს, ხუმრობა ხომ არ არის, ან როგორ ასწაპნის, ამწონი დაბალი კაცია და ქილა კი ძრიელ მაღლა ჰკიდია, მაგრამ ვშიშობთ, როგორც სიმაღლის გამო ვერ ამოიღებს, ისე სიმაღლისავე გამო იქმნება არ ჩაყაროს და თავისი ლაინის ჯიბე არჩიოს... მას უკან ვინ არის ამის თავს მდები?

⁂ **დ. ცხინვალი.** შავი სახადი ჩვენშიაც გაჩნდა, რომელმაც საკმაოდ იმსხვერპლა ხალხი. ხუთი დღის განმავლობაში მოკვდა სამი, ავად არიან შვიდი.

კარგი იქნება, როგორც სთხოვენ ცისკარიშვილს, გაუკეთოს დე[illegible]ქცია იმ ადგილებში, სადაც [illegible] იჩინა ამ სენმა.

⁂ **მადლობა შემოწირულობისათვის.** ჩვენ მივიღეთ ქ. ბათომში შეგროვილი ფულები და წიგნები აჭარის წიგნთსაცავის სასარგებლოთ შემდეგის პირებისაგან: ბ. ე. ჩხატარაიშვილისაგან 23 მან. 50 კაპ. და ბ. ლ. ხვინგიასაგან—17 მ. და 31 ცალი წიგნი.

ამასთანავე მოვიყვანთ შემომწირველთა სიას ქ. ბათომიდგან. სამი მანათი: სეფე მხეიძე, ლაკ. ხვინგია. 2 მან. მიხ. ა. ჩხატარაიშვილი, ას. ჩიტაიშვილი, ქიმ. ნიკოლაიშვილი. 1 მ. თ. პ. აბაშიძე, თ. მ. ნაკაშიძე, თ. მ. ლორთქიფანიძე, თ. ალ. მაჭუტაძე, თ. ალ. ლორთქიფანიძე. ყ. ბერძენიშვილი, კ. ჯორბენაძე, მ. მენაბდე, ს. ოთხმეზური, ალ. მელია, გ. ტუსკია, ს. სურგულაძე, გ. ვოლსკი, პ. უმიკაშვილი, ა. ვარშამოვი, ვ. დეკანოზოვი, მ. ანჯაფარიძე, ივ. მესხი, პ. ჰყონია, ლ. კაუხჩევი, ბ. ფელდოვი, კ. მხეიძე, დ. დარჩია, გ. ლორია, ლ. თავამაიშვილი, ხ. დუმბაძე, ან. მუჯირი, ს. კალანდარიშვილი, ივ. ძნელაძე, ი. სადრაძე, ვ. ჩიტაიშვილი. 50 კ.: დ. ბერძენიშვილი, მ. მახარაძე, თ. შომიტაიშვილი, ს. გურგენიძე, გ. ცნობილაძე, პ. თუმანიშვილი, რაჟდენ გვამიჩავა. 20 კ. დიმ. სურვილაძე. წიგნები შემოგვწირა შემდეგმა პირებმა: ეფ. ტიღურაძე—რვა ქართული წიგნი, კ. ჰანქალეიშვილმა შვიდი ცალი „Нива“-ს ნომრები. ნიკო გაბუნიამ—შვიდი ცალი რუსული და ქართული წიგნები. დ. ვადაჰკორიამ—ორი ცალი ქართული წიგნი. იას. სიორიძემ—სამი ცალი ქართული წიგნი. ან. ჩხაიძემ—სამი ქართული წიგნი. თ. ანჯაფარიძემ—ოთხი ქართული და ერთი რუსული წიგნი. ვ. ხუჭუამ და გ. ჩიტაკამ ოთხ-ოთხი ქართული, და რუსული წიგნები. ვარ. თარგამაძემ ერთი ქართული წიგნი. ფულად მთლად ბათომიდგან მიღებული გვაქვს 56 მან. 70 კაპ.

ზემოხსენებულ პირთ უგულითადეს მადლობას შევსწირავთ. ამასთანავე ვსთხოვთ ყველა გულშემატკივრებს, ნუ დაიზოგვენ ამ ჩვენის უსახლკარო სამკითხველოსათვის თავიანთ წვლილს.

შემოწირულება მიიღება შემდეგის ადრესით: **Озургеты. Завѣдывающему Шемокмедской безплатной народной библиотеки Филиппу г. Мгеладзе.**

ბიბლიოთეკის დამაარსებელნი თავ. კ. გურიელი და თ. ჩხატარაიშვილი.

გამგე ფილიპე მგელაძე.

⁂ **დუელის მოწინააღმდეგე.** პრუსიის ჯარიდგან გამორიცხულ იქმნა ოფიცერი ბარონ ერგარდტი, რომელმაც უარი სთქვა დუელზედ. ხოლო, ერთი წყალობა მისცეს, რკინის ჯვარი ატარე, რომელიც ბრძოლის ველზედ მიიღო.

ბარონმა ერგარდტმა რომ ეს გაიგო, იმ წამსვე გაუგზავნა ჯარის უფროსს რკინის ჯვარი და მისწერა: სულაც არა მსურს ვატარო მხოლოდ მოწყალებით ეს ჯვარი, რომელიც ჩემის ვაჟკაცობით დავიმსახურე ბრძოლის ველზედო.

⁂ **მწერლობა ფინლანდიაში.** რუსულ ჟურნალში ,,მირ ბოჟიი“ დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები შესახებ ფინლანდიის მწერლობისა. „ყველა ფინლანდიელსაო, ამბობს ეს ჟურნალი, თავის მოვალეობად მიაჩნია წერა ფინურ ენაზედ. ვისაც თითონ არ შეუძლიან წიგნის თხზვა, ის სხვა ენიდგან სთარგმნის; მსწავლულნი და მეცნიერნი მდაბიო ხალხისთვის სწერენ სასარგებლო წიგნებს ადვილ-გასაგებ ენით. თითქმის ყველა ნასწავლი კაცი სცდილობს სასარგებლო რამ დასწეროს.

სულ ოცდა ათი წელიწადი არ არის, რაც ფინლანდიის ლიტერატურა გამოცოცხლდა და ეხლავე იმდენი წიგნი დაწერილა და გადმოთარგმნილა ფინურ ენაზე, რომ საშუალო განათლების მისაღებად უცხო ენის ცოდნა საჭირო არ არის. ოცის წლის შემდეგ აღარც უნივერსიტეტებისთვის იქმნება საჭირო უცხო ენების ცოდნა. ეხლა უნივერსიტეტის პროფესორები—ფინლანდიელნი უცხო ენებიდგან სთარგმნიან საჭირო წიგნებს. ეჭვი არ არის, პატარა ფინლანდია მალე გაუსწრობს შვეციას, რომლის სასწავლებელში ყველგან გერმანული ენაა ხმარებაში.

ფინლანდიაში ფინურ ენაზედ იბეჭდება 79 ჟურნალ-გაზეთი. ამათში 36 საპოლიტიკოა, 13 სახალხო, 8 სამეცნიერო, 5 სასულიერო, 4 სამეურნეო, 4 სამხატვრო, 3 სალიტერატურო, 4 სასტატო, 2 სატეხნიკო, 1 სამკურნალო და 1 საოჯახო. ეს ცნობები აღებულია 1894 წლის ანგარიშიდგან. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი მიემატა.

გურიის სამიმოსვლო საზოგადოების კრების შესახებ. „ცნობის ფურც.“ № 101-ში დასტამბულია წერილი ოზურგეთის სამიმოსვლო საზოგადოების კრების გამო. ამ შენიშვნას ვინც წაიკითხავს და თანაც ეს საქმე აინტერესებს, დიდად დაღონდება, დიდად შეაფიქრიანებს ის გარემოება, რომ ჩვენში არაფერი საქმე არ კეთდება ისე, რომ კბილის მატლი არ გამოუჩნდეს და შიგნიდგან მის სულს და გულს ღრღნა არ დაუწყოს. ეს მდგომარეობა მით უფრო სამწუხაროა და სავალალო, რომ ეს „კბილის მატლები“ საზოგადოებას უმანკო კრავათ მოაჩვენებენ თავს და ისე მოქმედობენ თავისი პირადი ინტერესების დასაცველად და საზოგადოების საზარალოთ; საზოგადოება მადრიელი რჩება, ხშირად გაზეთსაც მიმართვენ ხოლმე წუწუნით: მოდით, გვიშველეთ, ვიღუპებითო და ამ რიგად თვით რედაქციას შეცდომაში შეჰყავთ. აი სწორედ მაგის მგზავსია ეს იერემიას გოდება, რომელიც „ცნობის ფურცელ“-ში მოთავსებულია. აბა დაუკვირდით კარგად მის შინაარსს. უცნობი ავტორი წერილისა სტირის და გოდებს იმას, რომ ამხანაგობა აგერ 8 წელიწადია დაარსდა და რატომ მილიონის პატრონი არა ვართო, მოდი და იჯარით გავსცეთ და როტშილდები შევიქნებითო. რას ნიშნავს, ბატონებო, ეს თუ არ პირადობის გამარჯვებას. როგორც იქნა, კერძო პირებისაგან თავი დავაღწიეთ, საქმე გავზარდეთ, შევიძინეთ სხვა-და-სხვა ეტლები, მიწა, თავლა, გვაქვს საკუთარი სახელოსნო და თუ დავუჯერებთ ჩვენს კეთილის მყოფელს, ყველა ეს ისევ კერძო პირს, ვინაც მოიჯარადრეს უნდა ჩავუგდოთ ხელში? აფერუმ, აი ეს იქნება პროგრესი, აა? თუმც მოსაგებელი მეტია, რასაც ბ. კორესპონდენტი იწერება, მაგრამ ესეც რომ ვიანგარიშოთ, განა ეს არ კმარა? განა ამხანაგობას მარტო ის მიზანი აქვს, ფული შეიძინოს? ეს კი არაფერი, რომ საზოგადო საქმის მოვლას ვეჩვევით და დღე-დღეზე წარმატებაში შევდივართ? მგონი ეს მილიონზე მეტად ფასობს? თქვენი გოდება მაშინ იყო საჭირო, რომ საქმე „წკიპზედ“ იყოს მიმდგარი. ჯერ ღვთით არაფერი გვიშავს რა და არც იმის წინააღმდეგი გვაქვს რამე. საქმის მმართველნი დახურულ კენჭის ჩამოტარებით იქმნენ არჩეულნი, მხოლოდ დაგვიწყებიათ (ან არ გინებებიათ) მოგეხსენებიათ, რომ ძველი გამგეობა, დამატებით ახალ არჩეულნი სამი სარევიზიო წევრებისა, დავტოვეთ მოკლე დროისით, სანამ განგებ ამ საქმისთვის ამორჩეულნი სამნი მცოდნე პირები წესდებას შეადგენდნენ, რომელიც დღეს სრულებით არა აქვს ამხანაგობას.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უნდა მოგახსენოთ მიზეზი ასეთ შეუსაბამო წერილისა. ზოგიერთ ვაჟბატონებს უნდათ ეს ჩვენი ამხანაგობა ხელთ იგდონ და ფარფაში დაიწყონ, აბა გაგონილა ცხენების იჯარით გაცემა?? (კორესპონდენტი იხსენიებს, 1891 წ. აღიძრა კითხვაო, ალბათ მაშინ იფიქრეს და დღემდე კი ვერ გაუბედავთ გამოქვეყნება) რამ აიძულა ბ. კორესპონდენტი თუ არ პირად ინტერესებმა. სწორედ იმ დროს, როდესაც მართლა ამხანაგობის საქმე გაორკეცებულია და სასურველ ნიადაგზედ არის დაყენებული, რომ გვირჩევს იჯარით გაცემას? ჩვენ ცხადად დავინახეთ დამფასებელ კომისიის დაფასებიდან, რომელიც მოხსენდა უკანასკნელ კრებას ამხანაგობისას, რომ ამხანაგობას მოუგია 3640 მანათზე მეტი, ასე რომ თითოეულ წევრს, რომლებსაც აქვს შეტანილი წილის ფული ოცი მანათი, 7 თუ 8 წლის განმავლობაში მოუგია ოცდა-ერთ მანათზე მეტი. ასე რომ ეხლა თვითოეული წევრის წილი არის 41 მანათზედ მეტი. ესეც რომ არ ყოფილიყო, განა მოგებათ ის არ კმარა, გურიის მკვიდრნი ერთიდგან სამ მანათამდის რომ იხდიდენ კერძო პირებზედ, იმის ალაგას აძლევენ ათ შაურს და ისიც რომ ამ უკანასკნელად საზოგადოებამ დაინახა რა, რომ საზოგადოება მაინც არ იზარალებს და კერძოებმა რომ კონკურენცია ვერ გაუწიონ, გადასწყვიტა, ოზურგეთიდგან ნატანებამდე მგზავრნი ატარონ დილიჟნებით ორ აბაზათ. იჯარით რომ ყოფილიყო, ამ უფლებას ხომ მოკლებული იქნებოდა საზოგადოება, რითაც ხალხისთვის მიმოსვლის გაადვილება აღარ შეეძლებოდა. შეიძლება დღეს მოიჯარადრემ ბევრი რამ შეგვპირდეს, მაგრამ ბოლოს გამოვა ის, რომ საქმეს ამხანაგობის ხასიათი დაეკარგება, საზოგადოებიდამაც პატივის ცემა მოაკლდება და ბოლოს ხელშიაც აღარაფერი დაგვრჩება და დავრჩებით ისევ კერძო პირების ხელში ჩავარდნილი. დალოცვილს თუ კი ასე გული შესტკივა საქმისთვის, რატომ არ ამბობს, რომ საზოგადო საქმეს რომ ვერ გავუძღვეთ სირცხვილია, ძლივს თავი დავახწიეთ კერძო პირის ქეიფზედ სიარულს და კიდევ ერთს ნუღარ ჩავუგდებთ ხელშიო. გაგონილა, თქვენი ჭირიმე, ამხანაგობა ერთმა კაცმა განაგოს? რას არ გაიგონებს ეხლანდელ დროში კაცის ყური. ჩვენ კი მაინც ამას ვიტყვით: „ვერა მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყენარობს, მოყვარესა მტერსა ვუფრთხი მოცინარობს, მოწყინარობსო.

წევრთაგანი.

⁂ **საკუთარს ხელში.** ერთს კაცს ერთ ქალთან წერილი უნდოდა გაეგზავნა, ისე რომ სხვას არ ჩავარდნოდა ხელში. ბევრი იფიქრა და ბოლოს შემდეგი საშუალება მოიგონა. დასწერა წერილი და კონვერტზე დააწერა იმ ქალის ქმრის სახელი და გვარი და თავში წააწერა: ,,საიდუმლოა, საკუთარს ხელში“. რაღა თქმა უნდა, წერილის გახსნას იმ კაცის ცოლს ვერავინ დაასწრებდა.

ქალაქის საბჭო

10 თებერვალს 1897 წ.

დღეისთვის 12 საგანი ჰქონდა საბჭოს განსახილველად, მათ შორის ცხრა საგანი დარჩენილი ძველ სხდომიდამ და სამიც ახალი.

7 თებერვალს საბჭოს გადაუწყვეტია, სხვათა შორის, 2000 მან. გადაიდოს მოულოდნელის ხარჯისათვის, თუ ვინიცობაა ქალაქს შავი ჭირი შემოეპარება; დღეს თავმჯდომარემ ბ-მა ივანენკომ განუმარტა საბჭოს, რომ ეს 2000 მან. მოულოდნელ ხარჯათ არ უნდა ჩავთვალოთ, რადგან გამგეობის აზრით, ამ ფულიდამ 600 მან. სასანიტარო რაზმებს უნდა მოეხმარდეთ და 1400 მ. ასაცრელ წამლისათვის (сыворотка) უნდა გადიდოსო. ამაზე საბჭო ერთხმად დასთანხმდა.

ამის შემდეგ კრებას მოხსენდა ხმ. როტინიანცის წინადადება მის შესახებ, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ გამართოს ხელის-მოწერა ოსმალეთიდამ გამოქცეულ სომხების სასარგებლოთ.

თავმჯდომარემ განუმარტა კრებას, რომ ამ საგნის ნება-რთვა და ისიც, თუ ვინ უნდა გაანაწილოს შეკრებილი ფულები, ბ. მთავარმართებელზეა დამოკიდებული.

ა. ა. იონნისიანი ამტკიცებს, რომ ბ. მთავარ-მართებლის უკანასკნელი განკარგულება ამ საქმის შესახებ სრულს უფლებას გვაძლევს შევკრიბოთ ფულები და გავანაწილოთ კიდეცაო.

ხმოს. შასაზიზოვი თხოულობს, 2000 მან. ჩაერთოს მდგომარე წლის ხარჯთ აღრიცხვას და ეს ფული დაზარალებულ სომხეთა სასარგებლოდ გადიდვას!..

საბჭო ხმის უმრავლესობით დასთანხმდა ბ.ბ. როტინიანცის და იონნისიანის წინადადებაზე და გადასწყვიტა, გაიმართოს ხელის მოწერა სომხების სასარგებლოდ.

განიხილეს სასკოლო კომიტეტის ოქმი მის შესახებ, რომ სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელს ბ. ქათანიანცს, რომელიც ამ ჟამად დამბლით ავად არის, მიეცეს 200 მან. საექიმოდ. საფინანსო კომისიის აზრით, ბ. ქათანიანცს უნდა მიეცეს 200 მან. მაგივრად 300 მან., რადგან ის წვრილის შვილებით სავსეა, 16 წელიწადია ქალაქის სკოლებს ემსახურება და მომავალში სნეულების გამო სამსახურს ველარ შეიძლებს.

ა. ა. იონნისიანი სრულებით თანახმაა საფინანსო კომისიის სიმპატიურის მოსაზრებისა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ამბობს, რომ ამ საქმის ასე თუ ისე გარდაწყვეტა სასკოლო კომისიას უფრო შეშვენის, ვიდრე საფინანსოსაო.

ამაზე ასტყდა დიდი ბაასი და ბოლოს გარდასწყვიტეს დახურულად კენჭი ეყაროს ორ საგანს: 1) ქათანიანცს მიეცეს 200 მან. და 2) ზედ მეტი 100 მან., მაგრამ ეს კენჭის ყრა შემდეგის სხდომისათვის გადიდვა.

საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა გადიდოს 961 მან. ქალაქის სკოლებში ადგილობრივის ენების სწავლის გასაუმჯობესებლად.

გამგეობის წევრი ხ. ა. ვერმიშევი—ჰკითხულობს ლისნევსკის (ქალაქის ზოგიერთ ადგილებში ტყის გაშენება აქვს მინდობილი) მოხსენებას, რომელიც აცხადებს, რომ მისგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო ის იძულებულია ქალაქის სამსახურს თავი დაანებოს, რადგან ხმოსან ხუდადოვთან ერთად სამსახური თავისთვის შეუძლებლად მიაჩნია.

ხმოს. როტინიანცი—თანაუგრძნობს ბ. ლისნევსკის საჩივარს.

ხმოს. ხუდადოვი—თავს იმართლებს და ამბობს, რომ მე არასოდეს არ გავრევივარ ბ. ლისნევსკის სპეციალურ განკარგულებაში, და თუ რასმე ვამბობდი ოდესმე, ამას მალაპარაკებდა ბევრი უწესობა ტყის გაშენების საქმეში და ის უფლებაც, რომელიც მე საბჭომ მომანიჭა, როდესაც ამ საქმის მეთვალყურედ დამნიშნა.

გამგეობის წევრი ვერმიშევი—მოუთხრობს საბჭოს ბ. ლისნევსკის სასარგებლო მოღვაწეობას და საჭიროდ სცნობს საბჭომ სთხოვოს ბ. ლისნევსკის, რომ მან კვლავაც არ მოაკლოს დახმარება მისგან დაწყებულ საქმეს.

ა. ს. ბაბოვი ეთანხმება ბ. ვერმიშევის წინადადებას.

ხმოსანთ ხუდადოვსა და ბაბოვს შუა ასტყდა ცხარე ლაპარაკი. რომელიც თავმჯდომარის ზარის რეკამაც ვერ დააწყნარა.

ხმოს. იონნისიანი ეთანხმება ბ. ვერმიშევის წინადადებას და ზედ დასძენს: «საქმე ისე მოვარიგოთ, რომ არც ბ. ლისნევსკის პატიოსანი შრომა მოგვაკლდეს და არც ხმოსანი ხუდადოვი დავკარგოთო.

საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა: ეთხოვოს ბ. ლისნევსკისა და ხუდადოვს, დარჩნენ თავ-თავიანთ ალა-

გას და კვლავაც ემსახურონ მათდამი მინდობილ საქმეს, ხოლო ბ. ლისნევსკის მიეცეს სრული თავისუფლება მოქმედებისა საქმეში ტეხნიკურის მხრით.

საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა ქალაქის გამგეობის წინადადება, დაენიშნოს ავჭალის წყლის მილის მეთვალ-ყურეს წელიწადში ჯამაგირად 2400 მანათი. ბოლოს საბჭომ საბეგრო კომისიის (податное присутствіе) წევრები და მათი კანდიდატები აირჩია.

დანარჩენი საგნების გარჩევა გადაიდო შემდეგ სხდომამდე. საბჭო ნაშუაღამევის 1 საათზედ დაიშალა.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

15 თებერვალს ტფილისში გზათა მმართველობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა ორ საყარაულოს გასაკეთებლად. ერთი უნდა გაკეთდეს ახალციხე აბასთუმნის გზა ტკეცილზედ 2970 მანათად და 52 კაპ., მეორე აბასთუმანში—5232 მან. და 75 კაპ.

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაკვისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. ზანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) კნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა 1/16 ნაწილი „საციციანო მთაში“ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ქვანტია გიორგის სულის ორჯონიკიძისა, დედით სავანელი.

4) ეკატრინე ალექსის ასულის ჩედიძისა.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

განცხადებანი

მოთხრობა

თავადის ქალი

შრომა ტ. ფუფუნევა,

თარგმნილი და გამოცემული ნ. ავალიშვილისაგან.

ისყიდება: ტფილისში — ყველა წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—ვასილ ბეჟანეიშვილთან და ივლიანე ხეთერელთან; ბათომში — კონსტანტინე თავართქილაძესთან; ყვირილაში — ალექსანდრე არაბიძესთან; ხონში—ძმ. წერეთლების მაღაზიაში; გორში—არსენ კალანდაძესთან; თელავში—ილია იმერლიშვილთან და მიხეილ ცისკარაშვილთან; მაჩხაანში—დიმიტრი ნადირაძესთან და განჯაში—სოლომონ დოლიძესთან. ფასი სამი აბაზია. (6—6).

ექიმი

უ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფს იღებს ყოველ დღე
დილის 11—12 საათამდე და
საღამოს 6—7-მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

(5—5)

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში

ვალერიან გუნიას

შედგენილი და გამოცემული

საქართველოს კალენდარი

1897 წ.

✦ კალენდარი ღირს 50 კაპ., ყდით 60 კაპ. ✦

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ტფილისი, ფრეილინის ქ. № 13.



ამ წიგნში წინ ჩაკერებულია სურათები, სახელდობრ: „საქართველოს კალენდრი“ ალბომი 1—48 გვ.

წიგნი შეიცავს 566 გვერდს დიდის ზომისას, რომელზედაც მოთავსებულია სხვა-და-სხვა მრავალ საკალენდარო, სასარგებლო და საჭირო ცნობათა გარდა სალიტერატურო ნაწილიც. კალენდარი დასურათებულია 78 ნახატით.

აზიური მაღაზია

ასლან ავალიანისა

(გოლოვინის პროსპექტი, შიოევის სახლში, ტფილისის კრუჟოკის ქვეშ)

მუდამ ჟამს მაქვს გასასყიდათ მრავალი სხვა-და-სხვა ღირსების შალები: იმერული, მეგრული, ლიგორული, ლეკური და სხვ. აგრეთვე თივთიკები; ქამარ-ხანჯალი, მასრები და სხვა იარაღები და მოწყობილობა.

იქვე მაქვს მშვენივრად გამართული სამკერვალო და ფეხსაცმელთა სახელოსნო.

ფასი ყველაფერზე ზომიერია. შეკვეთას ვასრულებ სწრაფად და სუფთად.

!!!რკინის გზაზე მოსამსახურეთა საყურადღებოდ!!!

მაქვს პატივი ვაუწყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა და მოხელეთა, რომ ჩემს მაღაზიაში მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველთვის ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით

✦ **ჩერქეზული ტანისამოსი თავის მოწყობილობით** ✦

მსურველთ უნდა წარმოადგინონ რკინის გზის „დამზოგველ საზოგადოების“ მოწმობა და მაშინ იმათ დაეთმობა ღირებულ ფასიდან 10%, ანუ მანათზე ორი შაური.

პატივისცემით **ასლან ავალიანი.**

Азіятскій магазинъ и мастерская А. Аваліани
Тифлисъ. Головинскій пр. д. Шіоева, подъ Тиф. Кружкомъ.

(15—7)

Магазинъ

О. ЗИБЕРТА

Дворцовая.

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній **ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ** фирмы Буссо, Валадонъ и К° въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ

СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрики **МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ**.

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* **НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ** и т. под., **МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕЙ,** издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и. т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—18)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на ежедневную политическую, литературную и экономическую газету

НОВОСТИ

и на еженедѣльный художественный журналъ

„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“

1897 ГОДА.

Изданія ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго акціонернаго общества

„ГУТТЕНБЕРГЪ“

подъ редакціею О. К. НОТОВИЧА.

◆

Подписка на „Новости“ въ 1897 году.

На 1-е (большое) изданіе:

	На годъ	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.
	Р. К.	Р. К.	Р. К.	Р. К.	Р. К.	Р. К.	Р. К.	Р. К.
Безъ доставки . . .	14 50	13 —	12 —	10 50	9 80	9 —	8 —	6 80
Съ дост. по гор. почтѣ	16 —	15 —	13 50	12 —	11 —	10 —	9 —	7 50
Съ перес. иногороднимъ	17 —	15 50	14 50	13 50	12 50	11 30	10 —	8 50
За границу	26 20	24 50	23 —	21 —	18 50	16 —	14 —	12 —

	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
„ „ „ „	5 50	4 —	2 80	1 50
„ „ „ „	5 80	4 50	3 30	1 80
„ „ „ „	7 —	5 50	4 —	2 —
„ „ „ „	10 —	8 —	6 —	3 50

вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью“.

	на годъ	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	
Съ достав. по гор. почтѣ	17 —	16 —	14 50	13 —	12 —	11 —	10 —	8 50	6 80	5 50	4 30	2 80
Съ перес. иногороднимъ	18 —	16 50	15 50	14 50	13 50	12 30	11 —	9 50	8 —	6 50	5 —	3 —
За границу	27 20	25 5о	24 —	22 —	19 50	17 —	15 —	13 —	11 —	9 —	7 —	4 50

Подписывающіеся на „Новости“ вмѣстѣ съ «Петербургскою Жинью»

доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на „Новости“ только одинъ рубль.

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою; взносы по разсрочкѣ производятся; гг. иногородними подписчиками при подпискѣ—7 руб. (вмѣстѣ съ журналомъ „Петерб. жизнь“ 8 р.), въ концѣ марта—7 руб. и въ началѣ августа—3 руб.; городскими: при подпискѣ 5 руб. 50 коп. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь“ 6 р. 50 к.), въ концѣ марта—5 р. 50 к. и въ концѣ іюня 5 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца текущаго года.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „Новости“ (Б. Морская, 17). Адресъ для телеграммъ: Петербургъ, „Новости“.

На 2-е (малое) иданіе:

	на годъ	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2. м.	1 м.
	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
Съ дост. по город. почтѣ	9 —	8 50	8 —	7 50	7 —	6 50	6 —	5 —	4 —	3 —	2 —	1 —
Съ пересылк. иногородн.	10 —	9 50	9 —	8 50	8 —	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	2 —	1 —
За границу	18 —	—	—	—	—	—	10 —	—	—	6 —	—	2 —

вмѣстѣ съ „Петербургской Жинью“:

Съ достав. по город. поч.	10 —	9 50	9 —	8 50	8 —	7 50	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	2 —
Съ перес. иногороднимъ	11 —	10 50	10 —	9 50	9 —	8 —	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	2 —
За границу	19 —	—	—	—	—	—	11 —	—	—	7 —	—	3 —

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою; взносы по разсрочкѣ производятся: гг. иногородними подписчиками: при подпискѣ 4 р. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь“ 5 руб.), въ концѣ марта—3 руб. и въ концѣ іюня 3 р.; городскими; при подпискѣ—3 р. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь“ 4 руб. (въ концѣ марта—3 р. и въ концѣ іюня 3 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца текущаго года.

Деньги и письма адресуются: *Петербургъ, въ контору газеты „Новости“, (Б. Морская, № 17). Адресъ для телеграммъ: Петердургъ, „Новости“.*

Подписка на „Новости“ и „Петербургскую Жизнь“ представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку одного рубля къ подписной цѣнѣ газеты пріобрѣтаетъ еженедѣльный иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристическій, научный и др. матеріалъ и массу художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоющую болѣе рубля, и, такимъ образомъ подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой приплатѣ со стороны редакціи къ стоимости пересылки.

Годовая цѣна журнала „Петербургская Жинь“, при отдѣльной подпискѣ на него, 6 руб.

Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ

«ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ»

1897 года.

Подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 2 мѣс.—1 р.

✦ **Журналъ выходитъ по воскресеньямъ.** ✦

◆

„Петербургская Жизнь“ по содержанію своему представляетъ иллюстрированную лѣтопись, текущихъ событій и потому вышедшіе нумера этого журнала навсегда сохраняютъ историческій интересъ.

При конторѣ гаеты „Новости“ существуетъ

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ,

услугами котората подписчики „Новостей“ пользуются на льготныхъ условіяхъ.

Отвѣтственный редакторъ-издатель *О. К. Нотовичъ.*

(10—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.